



პრესრელიზი

დაუყოვნებლივი გავრცელებისთვის
თარიღი: 2.12.2015

კონტაქტი: ქეთევან ჯაჭვამე,
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
"სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი" CCIIR
k.jachvadze@cciir.ge
595 511 050

თსუ - ში ახალგაზრდული ცენტრი იხსნება

2 დეკემბერს, 15:00 საათზე, თსუ მე-7 კორპუსში (მისამართი: ქ.წამბეზულის №55) "თსუ ახალგაზრდული ცენტრი" გაიხსნება. ახალგაზრდული ცენტრი იხსნება "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" [PITA] ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციაა ა/ო "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი".

ახალგაზრდული ცენტრი თსუ - ში ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის (1+4 პროგრამა) ბაზაზე შეიქმნა და ის ორიენტირებული იქნება ახალგაზრდების საჭიროებებზე, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და სტუდენტთა სამოქალაქო ჩართულობისა და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდაზე.

გახსნაში მონაწილეობას მიიღებენ თსუ რექტორი - ვლადიმერ პაპავა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის, საქართველოს გაეროს ასოციაციის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები. მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გუბაზ სანიკიძე და სხვები.

"თსუ ახალგაზრდული ცენტრის" საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება. ის ითვალისწინებს მრავალი სხვადასხვა ტიპის აქტივობის განხორციელებას, მათ შორის: თემატური ჯგუფების ჩამოყალიბებას - ადამიანის უფლებათა დაცვის, განათლების, მრავალფეროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის, გარემოს დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ადვოკატირებისა და კვლევის, ასევე - კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით; ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ტრენინგებისა და სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზებას; ცენტრი თავის წევრებს დახმარებას გაუწევს ფონდების მოძიებაში; მოამზადებს მათ, რათა მონაწილეობა მიიღონ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში; ივარაუდება ასევე სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებაც და სხვა.